

ბიზნესი ქვესტრია



ნიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტისა და საინჟინრო
ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის მხარდაჭერით



თბილისი, 2018
გამომცემლობა „იურისტების საგზარო“

შინაარსი

წინასიტყვაობა.....3

დემოკრიოსი

სტილის შესახებ7

ცოტა რამ ავტორის შესახებ..... 114

დემოკრიოსის ნაშრომის – „სტილის შესახებ“

განმარტებები..... 118

ჟერარ შანეტი

რიტორიკა და პანათიკა.....142

შენიშვნები და კომენტარები (ჟერარ შანეტი).....169

ჟერარ შანეტი

შემოკლებული რიტორიკა 174

სასამართლო რიტორიკის ტექსტების ნიმუშები

აკაკი წერეთელი216

შალვა მესხიფილი..... 230

ალექსანდრე ჩიქვანაია 241

ბიძინა ბარათაშვილი 272

ჯამაკურ ბაქრაძე.....	307
ანდრო გელოვანი.....	312
შალვა გვათუა.....	344
ალექსანდრე დოლიძე.....	364
პეტრე ინასაზიძე.....	373
ილია კაშია.....	385
ვანტანგ კაჭახიძე.....	400
ნიკოლოზ კეველიშვილი	411
ტექსტების განმარტებისა და შენიშვნებისათვის.....	421

წიგნი „ახალი რიტორიკა საჯარო კამათის ტექნოლოგიები“ მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაჩთლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამოსამართლო მჭევრმეტყველების“ ფარგლებში.

შემდგენლები: პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი
ი. გაბისონია
ივ. ჯაგოდნიშვილი

რედაქტორები: პროფ. ჯ. გახთკიძე
ჯ. გაბელია
ქ. ქოქრაშვილი

ტექნიკური შემსრულებელი: ა. ფიფია

- © თ.ჯაგოდნიშვილი, ი.გაბისონია, ივ.ჯაგოდნიშვილი, 2018
- © გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171

ტელ.: (+995 032) 238 35 99; (+995) 557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9561-9-5

წინასიტყვაობა

ჩვენი თამანედროვეობის ენობრივი ცნობიერება „რიტორიკის“ ცნებით გამოხატული ცოდნის სფეროს აზისტოტილეს სახელს უკავშირებს. მეტყველების ბუნების, სამეტყველო სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების ჩვენამდე მოღწეულ მეცნიერულ ნაშრომებსა და სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურას შორის ყველაზე აღრეული (და რადიკალური უცნაურიც არ უნდა იყოს) და ყოვლისმომცველიც არის ანტიკური ეპოქის გენიოსის აზისტოტილეს „რიტორიკა“.

აზისტოტილე პროფესიული მიზნობრივი მეტყველების სახეობებს შორის საგანგებოდ გამოარჩევდა სასამართლო მჭევრმეტყველებას. იგი სასამართლო რიტორიკის თავისებურებებს მის მიზანში ხედავდა. ეს მიზანი ჭეშმარიტების დადგენაა მტყუანისა და მართლის გამოვლენის გზით. სასამართლო რიტორიკაში ყველაფერი – საჯარო კამათი, სამეტყველო კომუნიკაციები – ჭეშმარიტების დადგენის მიზანს ექვემდებარება. აზისტოტილე იმაზეც საგანგებოდ ამხვილებს ყურადღებას, რომ სასამართლო რიტორიკაში ყველაფერი, რაც სცილდება აღნიშნულ მიზანს, საერთოდ არ განიხილება.

აზისტოტელეს დაკვირვებით, სასამართლო რიტორიკის სიტყვა სხვა სახეობის საჯარო სიტყვისაგან იმით განსხვავდება, რომ უფრო ზუსტია, ნაკლებად არის გამოყენებული ჩვეულებრივი თრატორული ხერხები. ამ გარემოებას ის დასაბუთება ეძებნება, რომ „ისიც ადვილად დასაჩინებია, რაც საგნისათვის არის დამახასიათებელი და ისიც, რაც მისთვის უცნობა“ (აზისტოტელე, რიტორიკა, თბილისი, 1981, გვ. 194).

აზისტოტელეს დაკვირვებები დღევანდელობის გადასახედიდან დაზუსტებას საჭიროებს, თუმცა მისი მინიმუმები სასამართლო რიტორიკაზე და აღწერა-დახასიათებები მაინც გასათვალისწინებელია. როგორც ითქვამს, რიტორიკის ბუნების, სტრუქტურების, ტექნოლოგიების შესახებ ამჟამადაც ძირითადად აზისტოტელეს „რიტორიკის“ მიხედვით მსჯელობენ, მაშინ, როდესაც უკვე ანტიკურ სამყაროში „რიტორიკა“ მეტყველების სტრატეგიების, ტექნოლოგიების, პოეტიკის, ლექსმცოდნეობის სწავლებისა და საერთოდ ცოდნის დიდი დაზგი იყო. იგი ისეთ მიმართულებებსაც მოიცავდა, რომლებიც ბუნებრივად მოექცნენ ლიტერატურათმცოდნეობის (ლიტერატურის თეორიის, ლიტერატურული კრიტიკის) და ლინგვისტიკის (კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ეთნო-ლინგვისტიკის, ეთნო- და ფსიქოლინგვისტიკების) ინტერესთა სფეროებში მოქცნენ. მართალია, ანტიკური ეპოქა არ იცნობდა ლიტერატურათმცოდნეობას, ლინგვისტიკას,

ბოლომდე ფილოლოგიური ცოდნის აღმნიშვნელ ტერმინებს, მაგრამ ანტიკურმა ავტორებმა რიტორიკის შემადგენლობაში მოაზრებული ცოდნის ამ დარგებშიც შექმნეს გასათვრად (და გამოთვრებელადაც!) ღრმა, მასშტაბური გამოკვლევები, რომლებმაც ათასწლეულების განმავლობაში შეინარჩუნეს და დღესაც არ დაუკავრგავთ მეცნიერული ღირებულება. პირდაპირ ვატყობას იწვევს ფილოლოგიური ცოდნის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა ანტიკური ავტორების დაკვირვებებისა და კვლევების სიღრმისეული და სივრცისეული პარამეტრები.

რიტორიკის ქრესტომათიაში აღნიშნულის ილუსტრირების მიზნით წარმოდგენილია ძველი ებრაის ერთი, თუ შეიძლება ითქვას, რიგითი (და არა არისტოტელეს მაგვარად ისტორიანზე აღმატებული) ავტორის – I საუკუნის მკვლევრის **დეპეტრიოსის** სახელით ცნობილი მეცნიერის გამოკვლევა მეტყველების სტილის შესახებ. მეტყველების განსხვავებული სტილების თავისებურებების აღწერა-დახასიათებები თამამად უსწორებს მხარს განსხვავებული მიზნობრივი სტილების თანამედროვე გამოკვლევებს.

„რიტორიკის“ ისტორიის ილუსტრირების და ახალ ებრაელებში რიტორიკისაკენ შებრუნების, ანუ ახალი რიტორიკის აღმოცენებისა და მისი შინაარსის გაცნობიერების მიზანდასახულებით წარმოდგენილია ცნობილი ფრანგი ავტორის

ჟერარდ შანეტის თბი ნაშრომი „რიტორიკა და განათლება“ და „შემოკლებული რიტორიკა“. აღსანიშნავია, რომ როგორც დემეტრიოსის ნაშრომი „სტილის შესახებ“, ისე ჟ. შანეტის აღნიშნული თბი ნაშრომი ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა და ჩაირთო სასწავლო სამეცნიერო ლიტერატურის მიმოქცევაში.

სასამართლო რიტორიკის მეტყველების სტილის თავისებურებების ილუსტრირების მიზნით ქრესტომათიაში ასევე წარმოდგენილია ცნობილი ქართველი იურისტების სიტყვათა ტექსტები – საადვოკატო გამოსვლების ტექსტები, რომლებშიც ცხადად ჩანს ქართული საჯარო კამათის ტექნოლოგიების ბუნება და თავისებურებები.

სტილის უსასხმ

1. წინასწარი შენიშვნები კოლონების შესახებ

1. იმის მსგავსად, როგორც პოეტურ მეტყველებას განსაზღვრავს ზომა - თრმარტვლიანი, ექვსმარტვლიანი ან სხვაგვარი, ასევე პრთზაული მეტყველებაც განსაზღვრული და განყოფილია ე. წ. კოლონებით (ta cōla).

- მოლაპარაკეს კოლონები თითქოს სულის მოთქმის საშუალებას აძლევენ და მეტყველების ნაკადს უამრავ შემადგენელ ნაწილებად ანაწევრებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მეტყველება ძალიან გრძლად მოგვეჩვენებოდა, უსასრულო-დაუძთავრებლად, ხოლო მოლაპარაკეს არ ეყოფოდა სუნთქვა.

2. ამგვარ კოლონათა მიზანია აზრის გამოკვეთა (dia- noia), ხაზი მთლიანად, როგორიცაა, მაგალითად ჰეკატეს ისტორიის დასაწყისში: ჰეკატე მილეტელი ასე მოგვითხრობს: „აქ კოლონი მთლიანად მოიცავს მთელს აზრს და ისინი ამოწურავენ ერთმანეთს.“

კოლონი ზოგჯერ მთლიან აზრს კი არ მოიცავს, არამედ მის რაიმე ნაწილს, მაგალითად, ხელიც, როგორც დასრულებული მთლიანობა, განიყოფება ნაწილებად - თითები, იდაყვი, რთმლებიც, თავის მხრივ, დასრულებულ მთლიანობებს წარმოადგენენ, რადგან თავ-თავისი ზომები მოებთვებათ და ასევე თავ-თავის ნაწილებად განიყოფებიან.

ასევეა აზრის შემთხვევაში - რაღაც მსხვილი მთლიანობა თავის თავში შეიცავს ნაწილებს, რომლებიც თავისთავად დასრულებული მთლიანობებია.

3. მაგალითად, ქსენოფონტეს „ანაბასის“ დასაწყისი სიტყვებიდან „დაჩინოსთან და პარისადიტასთან“ სიტყვებამდე „უმცროსი კიროსი“ წარმოადგენს მთელ დასრულებულ აზრს. მასში შემავალი ორი კოლონა ორ ნაწილს ქმნის, თანაც თითოეულ მათგანს საკუთარი შინაარსი აქვს და თავისი საზღვრები მოეპოვება. ასე, სიტყვები „დაჩინოსა და პარისადიტას ვაჟიშვილები ჰყავდათ“ შეიცავს თავისთავად მთლიან აზრს დაჩინოსა და პარისადიტას ვაჟიშვილების დაბადების შესახებ. მთლიან აზრს შეიცავს მეორე კოლონაც: „უფროსი ანტაქსერსე, უმცროსი - კიროსი“. ამგვარად, ყველა შემთხვევაში კოლონა შეიცავს დასრულებულ აზრს ან სულ მთლიანად, ან მის რაიმე მთლიან ნაწილს.

4. კოლონები ძალიან გრძელი არ უნდა იყოს, რადგან ასეთი აგებულება (synthesis) შეუსაბამოა და გაჭირვებით აღიქმება. ეპიკურ პოეზიაშიც ხომ არ გადიან ჰეკზამეტრის ფარგლებს გარეთ, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა. მართლაც, სასაცილო იქნებოდა, თუ სალექსო საზომი უზომო იქნებოდა, ხოლო ლექსის დასრულებისას დავივიწყებდით როდის დაფიქვით იგი. ზომიერების არაჩსებობის გამო მეტყველებაში გამოუსადეგარი ძალიან გრძელი კოლონები და ძალიან მოკლე კოლონები, რადგანაც უკანასკნელ შემთხვევაში მივიღებთ ე. წ. „მშრალ“ (xēros) მეტყველების აგებულებას (synthesis).

აი, ასეთი აგებულების მაგალითი: სიცოცხლე ხანმოკლეა, ხელოვნება - გრძელი, წარმატება წამიერი“. მეტყველება აქ დაჩენილი გვერვინება, ნაჭრებად დაკუწული და უმნიშვნელო შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან მასში ყველაფერი დაწვრილმანებულია.

5. თუმატა გრძელი კოლონებიტ შეიძლება გამოდგენ - მაგალითად, დიდებულ სტილში. პლატონთან, სადაც კვითხულობთ: „ზოგჯერ თავად ღვთაება იღებს თავს ზრუნვას სამყაროზე და თავად უწყობს ხელს მის წრებზუნვას“. გამოთქმის ამაღლებულობას აქ შეესაბამება კოლონის სიდიდეც. ასე, ჰეკნამეტრსაც ხომ იმიტომ უწოდებენ, რომ თავისი სიდიდით გამოსადეგია გმირულის გამოსახატავად.

აღბათ, ჰომეროსის „ილიადაც“ ვერ დაიწერებოდა არქილოკეს მოკლე მუხლებით, როგორცაა „მტკივნეულად მრტყემელი ჯოხი“ და „ვინც წაგგვარა შენი გონი“ ან ანაკრეტის „მომეცი წყალი, ღვინო მომეცი, თყლაყო“, სადაც რიტმი სრულიად შეესაბამება მოვრალი მონუტის გამონატვას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გმირისა და ბბბბბბბ ველზე.

6. შემდგომ, ისევე, როგორც წარმოიქმნება გრძელი კოლონების საჭიროება, ჩნდება მოკლე კოლონების საჭიროება, როდესაც გვინდა ვილაპარაკოთ რაიმე უმნიშვნელო საგანზე. ასევე მაგალითად, ქსენოფოტე ასე გამონატავს ელინების მისვლას მდინარე ტელეპოსითან: „არა, იგი (მდინარე) არ იყო დიდი, მაგრამ ლამაზი - უაღრესად“. რიტმის სიმოკლე და კვეთილობა აქ მიუთითებს როგორც მდინარის

სიმცირეზე (უმნიშვნელო სიდიდეზე), ისე მის სილამაზეზე. და-
ვუმვათ, რომ ავტორი გაშლიდა ფრაზას და შემდეგნიარად
ავგებდა: „სიდიდით იგი (მდინარე) ბევრს ჩამოთრებოდა, მა-
გრამ სამაგიეროდ სილამაზით ყველას აღემატებოდა“. ასეთ
შემთხვევაში იგი შესტოდებდა გემოვნების წინაშე (to prepon)
და აღმოჩნდებოდა მაღალფარდოვანი (psychros). მაგრამ
სტილის მაღალფარდოვანებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

7. მოკლე კოლონებს მძლავრ (deinos) სტილიშეც გამოი-
ყენებენ, რადგან დიდი შინაარსი თავს უფრო ძლიერ და
გამოკვეთილად შეკუმშული სახით იჩენს. ამიტომ არის ლა-
კონიური სპარტანელების მძლავრი მეტყველება და ყოფ-
ელთვის მოკლე და სწრაფი ბრძანება, ცალსახა ბატონი
მსახურთან, მაგრამ გრძელი ხვეწისა და მუდარის სიტყვები.
ასე, მაგალითად, ჰომეროსი როცა გამოხატავს ზევის კოჭლი
და დაგვაჯული ქალიშვილების მუდარებს, რომლებიც თავ-
იანთი სიზანტისაგან არიან დაბერებულები, აქ მხედველობაში
აქვს მათი უნვისტყვეობაც და ჰომეროსულ მონუკთან უნ-
ვისიტყვეობა მათი უძლურებისაგან მომდინარეობს.

8. აი, მოკლე შეერთების (synthesis) მაგალითი: სპარ-
ტანელები ფილიპეს „დიონისე კორინთოშია“. აგებული მე-
ტყველება სიმოკლით მეტს იგებს გამომსახველობაში, ვიდრე
ითქმოდნა სრულად და მრავალსიტყვეობით, რომ ვითომ
დიონისე, თდესლაც ისეთივე დიდი მმართველი, როგორც
როგორც შენ ხარ, ფილიპე, ახლაც კორინთოში ცხოვრობს
კერძო პირის მდგომარეობაში. განა, სინამდვილეში, სიტყ-
ვამრავალი მიმართვა უფრო წყნარ თხრობას არ უნდება,